ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3499428

ნომერი: AR1533315

თარიღი : 17.08.2017

გაცემის თარიღი : 29.08.2017

გაცნობის თარიღი : 29.08.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 63 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თორნიკე ხონელიძე პ/ნ 60002019555
- ქუთაისი მისამართის გარეშე

ნომენკლატურა :

- საწყობი
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 550547 (17.11.2014 წლის №1597996; 06.03.2014 წლის 1156522; 27.09.2016 წლის №2857067)
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 3.01.2013

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საწყობი (სასწყობო მეურნეობა)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მამუკა კაპანაძე

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: ი/მ მამუკა კაპანაძე
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 01029014924

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "pepela company"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406078211
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: თორნიკე ხონელიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 60002019555

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 5337.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1538.28
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1461.23
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 90.6
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 1370.63
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 16921.08
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 15382.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1538.28
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 11.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 10.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.0
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. საქართველოს საჰაერო კოდესის 41-ე მუხლის თანახმად, აეროდრომის რაიონში მიწის ნაკვეთის, შენობის, ნაგებობის, კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზების და სხვა ობიექტების მფლობელები მათი განთავსებისას ან გამოყენებისას ვალდებული არიან, მათი გამოყენების და ამ ობიექტებით სარგებლობის პირობები აეროდრომის ექსპლუატაციის განმახორციელებელ პირთან შეათანხმონ და შესაბამისი სამუშაოები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების დაცვით აწარმოონ. შესაბამისად, ვინაიდან, თქვენ მიერ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებით საპროექტო ობიექტის სიმაღლე აღემატება დასაშვები ზღვრული აბსოლუტური სიმაღლის მნიშვნელობას, საჭიროა აეროდრომის ექსპლუატანტ შპს „ტავ ურბან საქართველო“-სთან შეათანხმოთ შენობა-ნაგებობის განთავსების ადგილი და სიმაღლე და შესაბამისი დოკუმენტი წარმოადგინოთ არქიტექტურის სამსხურში (იხ. დანართი).
2. საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: წარმოსადგენია ტოპოგრაფიული გეგმა (მ1:500), შესრულებული უფლებამოსილი პირის მიერ მისივე საპროექტო ორგანიზაციის სატიტულო შტამპიან ფურცელზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელების, შენობა-ნაგებობის განთავსების, მისასვლელი გზების, ღობეების, გამწვანების ჩვენებით შესაბამისი პირობითი ნიშნების დატანით) და ამ ტოპოგრაფიულ გეგმასთან ერთად უნდა იქნას ატვირთული თქვენ მიერ დამუშავებული გენ–გეგმაც. აღნიშნული გენ-გეგმის ნახაზი შესრულებული უნდა იქნას პროექტის

შემსრულებელი ორგანიზაციის სატიტულო შტამპიან ფურცელზე, საპროექტო შენობის საკადასტრო გეგმასთან მიბმის მანძილების ჩვენებით, დაღერძილი, ღერებს შორის მანძილების მითითებით და მომიჯნავე მიწის ნაკვეთების ჩვენებით.

3. დანართის სახით დაიტანეთ ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი.

4. საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით.: შეასწორეთ ხარვეზების მიხედვით.

5. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: წარმოადგინეთ განახლებული არსებული სიტუაციის ფოტომასალა თარიღის დატანით.

6. შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: გეგმებზე დაიტანეთ ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი და გაითვალისწინეთ რომ საპროექტო შენობა უნდა განთავსდეს მხოლოდ სამრეწველო ზონა 1-ში.

7. შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.: წარმოადგინეთ ოთხივე ფასადი.

8. ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). : წარმოადგინეთ ახალი ფოტომონტაჟი განახლებული არსებული ფოტოფიქსაციის მიხედვით.

9. საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : შეასწორეთ ხარვეზების მიხედვით.

10. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის მოშენების ფართობის რიცხვითი მაჩვენებელი: უნდა მიუთითთ მოსაკრებლის განაშენიანების ფართობის რიცხვითი მაჩვენებელი და შესაბამისად უნდა იქნას გადახდილი ნებართვის მოსაკრებელი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.